საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1166 2024 წლის 21 აგვისტო ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის
გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 აპრილის №480 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 აპრილის №480 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსათვის არაუმეტეს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის გამოყოფა, საიდანაც:

ა.ა) 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ერთიანი აგროპროექტის“ (პროგრამული კოდი: 31 05) პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამის – „მაღალმთიან

დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 31 05 22) განსახორციელებლად;

ა.ბ) 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ერთიანი აგროპროექტის“ (პროგრამული კოდი: 31 05) პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამის – „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტის“ (31 05 10), „მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის“ განსახორციელებლად.“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე